1962

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა


# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს

# უწყებები

№ 18 (178) 30 ივნისი 1962 წელი


## შ ი ნ ა ა რ ს ი

### სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები


განყოფილება პირველი

273. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თევზჭერის თაობაზე საბჭოთა კავშირ-ნორვეგიის შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ.

განყოფილება მეორე

274. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

275. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

276. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ი. სმირნოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

277. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პარტიზან ო. დ. რჟევსკაიას სამამულო ომის I ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

278. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მილიციის უფროსი სერჟანტის ა. ა. რასოხინის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საკონსტიტუციო კომისიის სხდომა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს რწმუნების სიგელები გადასცა ერაყის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა აბდელ მუტალიბ ამინმა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს რწმუნე-
ბის სიგელები გადასცა ბირმის კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა უ პე
კინმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

## განყოფილება პირველი

279. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოისა რესპუბლიკაში ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

280. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოისა საქართველოს საბჭოთა სოცია-ლისტური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს არჩევის შესახებ.

281. კანონი საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროსა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს გაუქმების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 55 მუხლში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

282. კანონი „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამ-ზადების სამინისტროს შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდი-უმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 56 მუხლში დამატებათა შეტანის თაობაზე.

283. კანონი „სამგორის რაიონის ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებიდან გამოყოფის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულე-ბის დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 19 მუხ-ლში დამატების შეტანის თაობაზე.

284. კანონი „ქალაქებსა და დაბებში მცხოვრებ მოქალაქეთა (გარდა კოლმეურნეებისა) პირა-დი საკუთრების პირუტყვისა და ფუტკრის ოჯახის ზღვრული ოდენობის დაწესების შესა-ხებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 18 იანვრის ბრძა-ნებულების დამტკიცების თაობაზე.

285. კანონი „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსისათვის 102[1] მუხლის დამატე-ბის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

286. კანონი „არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

287 კანონი „სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მოქალაქეთა სარგებლობაში მყოფი მიწის ნაკვეთების ჩამორთმევის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

288. კანონი „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესა-ხებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

289. კანონი „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბ-ჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულე-ბაში ზოგიერთი ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.“

290. კანონი „საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს გაუქმებისა და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 56 მუხლში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე.

291. კანონი „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50 მუხლში დამატების შეტანის შესახებ.

292. კანონი „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 25 მუხლის მეორე ნაწილის, 26 და 95 მუხლების გამოყენების შესახებ საქართველოს სს რესპუბლიკაში“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

293. კანონი „საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

294. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ მინისტრების, მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის დანიშვნისა და გათავისუფლების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.

295. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ.

296. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს გაუქმებისა და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს შექმნის შესახებ.

297. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრად ამხ. მ. ა. მეგრელიშვილის დანიშვნის შესახებ.

298. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრად ამხ. ვ. ა. პაატაშვილის დანიშვნის შესახებ.

299. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ ამხ. ქ. ქ. გარდაფხაძის დანიშვნის შესახებ.

300. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის შესახებ.

301. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქ. ფოთის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის არჩევნების დღის შესახებ.

## ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ

302. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ი. ტატიშვილისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

303. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

304. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

305. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

306. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

307. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოში რუსული პოეზიის დეკადის მონაწილეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა

# სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 273 თევზჭერის თაობაზე საბჭოთა კავშირ-ნორვეგიის შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი შეთანხმება თევზჭერის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და ნორვეგიის სამეფოს მთავრობას შორის, ხელმოწერილი მოსკოვში 1962 წლის 16 აპრილს, რატიფიცირებულ იქნას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი, 1962 წლის 22 ივნისი.
№ 236-VI.

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 274 საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ **„გმირი დედის“** საპატიო წოდება და გადაეცეთ **„გმირი დედის“** ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. სალიე ველედის ასულ **აბუსელიძეს** — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ შუახევის რაიონის სოფელი სამოლეთი.
2. ბულგეიზ მუსეიბ ყზი **ალიევას** — დიასახლისს, სოფელი გარდაბანი, ქალაქი თბილისი.
3. ანა მიხეილის ასულ **არიშინას** — კოლმეურნეობა „ულიანოვის“ წევრს, სიღნაღის რაიონი.
4. მუნტე ემინახმედის ასულ **ბეჟანიძეს** — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ შუახევის რაიონის სოფელი სამოლეთი.

5. ეხსან ემინის ასულ **კილაძეს** — მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, აჭარის ასსრ შუახევის რაიონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 19 ივნისი.

№ 218-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 275 საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ „გმირი დედის" საპატიო წოდება და გადაეცეთ „გმირი დედის" ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. კაზა სლოეს ასულ **ასმანოვას** — მოსამსახურეს, ქალაქი თბილისი.
2. ალი ყზი **ბალგიაზს** — დიასახლისს, კასპის რაიონის სოფელი ხიდისყური.
3. გოზალ აზიზის ასულ **ბროევას** — დიასახლისს, ქალაქი თბილისი.
4. რეპსიკ მაკარის ასულ **ვარდერესიანს** — დიასახლისს, ახალქალაქის რაიონის სოფელი კარწახი.
5. ვალენტინა ერმილეს ასულ **გაბუნიას** — დიასახლისს, აფხაზეთის ასსრ სოხუმის რაიონის სოფელი ვარჩა.
6. მარიამ ნამოს ასულ **იზმაილოვას** — დიასახლისს, ქალაქი თბილისი.
7. ლუდიკა ამბაკოს ასულ **ქადარიას** — დიასახლისს, ხობის რაიონის სოფელი თორსა-დღვაბა.
8. ევა გევორქის ასულ **კეხვაევას** — დიასახლისს, ბოლნისის რაიონის სოფელი დარბაზი.
9. მარუსა სერგის ასულ **კიკაძეს** — დიასახლისს, ბორჯომის რაიონის სოფელი ზანავი.
10. თამარ სერგის ასულ **კულატამაშვილს** — მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, ყვარლის რაიონი.
11. გულიშა დიმიტრის ასულ **მოხვაშს** — გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, ზუგდიდის რაიონი.
12. ქნარიკ ბენიამინის ასულ **ოგანესიანს** — მოსამსახურეს, ახალქალაქის რაიონის სოფელი განძანი.
13. მარგო მიხეილის ასულ **საბანოვას** — კოლმეურნეს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ლენინგორის რაიონის სოფელი წინაგარი.
14. იულია ივანეს ასულ **თოდუას** — კოლმეურნეს, ზუგდიდის რაიონის სოფელი ნარაზენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. არზუკ არუთინის ასულ **ტოზლიანს** — მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, აფხაზეთის ასსრ სოხუმის რაიონი.

16. ახმედ ყზი **ტუკაზვანს** — დიასახლისს, სამგორის რაიონის სოფელ ლისი.

17. ლიდია დიანოზის ასულ **ხარებავას** — კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, ხობის რაიონი.

18. გრავაშა დოროთეს ასულ **ხასიას** — დიასახლისს, ზუგდიდის რაიონის სოფელი შამგონა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 27 ივნისი.

№ 246-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 276 ამხ. ა. ი. სმირნოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ორმოცდაათი წლისთავის გამო და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის, სკკპ ჩიტას საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ალექსანდრე ივანეს ძე **სმირნოვი** დაჯილდოებულ იქნას **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 26 ივნისი.

№ 243-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 277 პარტიზან ო. დ. რჟევსკაიას სამამულო ომის 1 ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ

გერმანელ-ფაშისტ დამპყრობლებთან დიდი სამამულო ომის დროს გამოჩენილი მამაცობისა და გამბედაობისათვის პარტიზანი ოლღა დიმიტრის ასული რჟევსკაია დაჯილდოებულ იქნას **სამამულო ომის 1 ხარისხის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 27 ივნისი.

№ 244-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 278 მილიციის უფროსი სერჟანტის ა. ა. რასოხინის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საშიშ დამნაშავის დაკავების დროს გამოჩენილი მამაცობისა და გამბედაობისათვის მილიციის უფროსი სერჟანტი ალექსანდრე ალექსის ძე რასოხინი დაჯილდოვდეს წითელი ვარსკვლავის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 19 ივნისი.

№ 222-VI.

## განყოფილება მესამე

### საკონსტიტუციო კომისიის სხდომა

ა. წ. 15 ივნისს კრემლში შედგა საკონსტიტუციო კომისიის სხდომა, რომელიც არჩეულია სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე.

საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მოკლეთ დაახასიათა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისიის ძირითადი ამოცანები.

შემდეგ სხდომამ განიხილა საკითხი საკონსტიტუციო კომისიის ქვეკომისიების შექმნის შესახებ.

შექმნილია შემდეგი ქვეკომისიები:

— კონსტიტუციის საერთო პოლიტიკური და თეორიული საკითხებისა;

— საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების საკითხებისა;

— სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის, საბჭოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის საკითხებისა;

— ეკონომიკური საკითხებისა და სახალხო მეურნეობის მართვა-გამგეობისა;

— ეროვნული პოლიტიკისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის საკითხებისა;

— მეცნიერებისა და კულტურის, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებისა;

— საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის საკითხებისა;

— სახალხო კონტროლისა და სოციალისტური მართლწესრიგის საკითხებისა;

— სარედაქციო ქვეკომისია.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს რწმუნების სიგელები გადასცა ერაყის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა აბდელ მუტალიბ ამინმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. წ. 16 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა კრემლში მიიღო ერაყის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი აბდელ მუტალიბ ამინი, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ელჩს ახლდნენ საელჩოს მრჩეველი ტ. ჯებარი, სამხედრო ატაშე ა. ბ. კადიმი, პირველი მდივანი ფ. ა. ელ-კეისი, ატაშე მ. შუქრი მუხამედი, სამხედრო ატაშეს თანაშემწე ა. ს. ს. ალ-აბუსი, რომლებიც ელჩმა ლ. ი. ბრეჟნევს წარუდგინა.

რწმუნების სიგელების გადაცემას ესწრებოდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ს. გ. ლაპინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნოს უფროსი კ. უ. ჩერნენკო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილების გამგე ვ. გ. ვისოტინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების განყოფილების გამგის მოვალეობის აღმსრულებელი ა. დ. შჩიბორინი.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და ურთიერთ სიტყვების მიმართვის შემდეგ ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა აბდელ მუტალიბ ამინს. საუბარს დაესწრნენ ს. გ. ლაპინი და კ. უ. ჩერნენკო.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს რწმუნების სიგელები გადასცა ბირმის კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა უ პე კინმა

ა. წ. 20 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა კრემლში მიიღო ბირმის კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უ პე კინი, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ელჩს ახლდნენ საელჩოს პირველი მდივანი უ სეინ მაუნგი, საელჩოს მესამე მდივნები უ ხლა ი, ე პეინ ფეი, რომლებიც ელჩმა ლ. ი. ბრეჟნევს წარუდგინა.

რწმუნების სიგელების გადაცემას ესწრებოდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გ. მ. პუშკინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნოს უფროსი კ. უ. ჩერნენკო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილების გამგე ვ. გ. ვისოტინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებათა გამგეები ვ. ი. ლიხაჩოვი და თ. თ. მოლოჩკოვი.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და ურთიერთ სიტყვების მიმართვის შემდეგ ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა უ პე კინს. საუბარს დაესწრნენ გ. მ. პუშკინი და კ. უ. ჩერნენკო.

# საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

## განყოფილება პირველი

### დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

### 279 რესპუბლიკაში ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მეხუთე მოწვევის მეექვსე სესია, რომელმაც მოისმინა და განიხილა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ ზ. ა. კვაჭაძის მოხსენება რესპუბლიკაში ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, აღნიშნავს, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლებში მკვეთრად გაუმჯობესდა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და ამ საქმეში მიღწეულია თვალსაჩინო წარმატებანი.

პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობითა და დახმარებით ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება. რესპუბლიკაში შექმნილია საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, ბავშვთა ბაგების, ქალთა კონსულტაციების, სანატორიუმებისა და სხვა სამედიცინო დაწესებულებათა ფართო ქსელი.

1913 წელთან შედარებით საავადმყოფოების რიცხვი გაიზარდა 17-ჯერ, ხოლო საწოლთა რიცხვი 15-ჯერ. მარტო 1960-61 წლებში გახსნილია 34 ახალი საავადმყოფო, 12 პოლიკლინიკა-დისპანსერი, 123 საფერშლო-საბებიო პუნქტი და ა. შ. საავადმყოფო საწოლთა რაოდენობა გაზრდილია 3120-ით.

რესპუბლიკის სამედიცინო დაწესებულებებში ამჟამად მუშაობს 13 ათასზე მეტი ექიმი უმაღლესი განათლებით.

ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ემსახურება 70 ათასზე მეტი სამედიცინო და სამეურნეო პერსონალი. გახსნილია 28 სამეცნიერო-კვლევითი, სამეცნიერო-სასწავლო ინსტიტუტი და 17 საშუალო სამედიცინო სასწავლებელი.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სამედიცინო დაწესებულებათა აღჭურვა სამედიცინო აპარატურითა და სამეურნეო მოწყობილობით.

მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის ამაღლებისა და მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დარგში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ გატარებულ ღონისძიებათა შედეგად ლიკვიდირებულია რიგი ინფექციური დაავადებანი, დაავადებათა ნაწილი კი საგრძნობლად არის შემცირებული.

მაგრამ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების საქმეში ჯერ კიდევ აქვს ადგილი რიგ ნაკლოვანებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგ შემთხვევაში დაბალია ავადმყოფთა მომსახურების კულტურა. ზოგიერთი სამედიცინო დაწესებულების მუშაობაში ადგილი აქვს ავადმყოფისადმი არაგულისხმიერ, უსულგულო დამოკიდებულების ფაქტებს. რიგ სამკურნალო დაწესებულებაში არ არის უზრუნველყოფილი სანიტარული წესრიგი. სოფლის სამკურნალო დაწესებულებათა მნიშვნელოვანი ნაწილი დაუკომპლექტებელია ექიმებით. სოფლად მომუშავე სამედიცინო პერსონალის საყოფაცხოვრებო პირობებს ზოგიერთ რაიონში არ ექცევა სათანადო ყურადღება, რაც ხელს უშლის ადგილებზე საექიმო კადრების დამაგრებას. არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული ბრძოლა ზოგიერთ ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ· არასაკმარისად ტარდება ღონისძიებანი ტუბერკულოზური დაავადების მაქსიმალურად შემცირებისა და შემდგომში სრული ლიკვიდაციისათვის. დედათა და ბავშვთა სამედიცინო მომსახურების საქმეში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანებებია.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ყოველთვის არ უწევენ სათანადო კონტროლსა და დახმარებას სამედიცინო დაწესებულებების საქმიანობას. მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების საქმეში ნაკლებად არის ჩაბმული მშრომელთა ფართო მასები, არ ტარდება საკმაო ღონისძიებები ქალაქებისა და სხვა დასახლებული ადგილების სანიტარული კეთილმოწყობისათვის. ადგილობრივი საბჭოების ჯანმრთელობის დაცვის მუდმივი კომისიები რიგ შემთხვევებში არ იჩენენ სათანადო აქტივობას მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების საქმეში.

რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციები არ იცავენ მშენებლობისათვის დაწესებულ ვადებს, რის შედეგადაც წლობით ჭიანურდება საავადმყოფო-პოლიკლინიკათა მშენებლობა, ამასთან შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი ზოგჯერ არადამაკმაყოფილებელია (ლენინგორი, ლაგოდეხი, ბათუმი და სხვა). შეუწყნარებლად ნელი ტემპით მიმდინარეობს რაიონებში ექიმებისათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობა.

სერიოზული ნაკლოვანებებია საავადმყოფოების კვების პროდუქტებით მომარაგების საქმეში, რის გამოც ავადმყოფთა კვება უმეტესად ერთფეროვანია. ავადმყოფთა კვებისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები რიგ შემთხვევებში აუთვისებელი რჩება.

ჯერ კიდევ მთლიანად დაკმაყოფილებული არ არის მოსახლეობის მოთხოვნილება მედიკამენტებზე. სამკურნალო დაწესებულებებში იგრძნობა ინვენტარის ნაკლებობა.

რესპუბლიკაში ჯანმრთელობის დაცვის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს:

ა) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი ორგანოების მუშაობაზე, ჩააბან მშრომელთა ფართო მასები მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების საქმეში, მეტი ყურადღება მიაქციონ ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების სანიტარულ კეთილმოწყობას და მიიღონ ზომები სამედიცინო დაწესებულებათა მუშაობის კულტურის ასამაღლებლად. ქმედითი დახმარება გაუწიონ ადგილობრივი საბჭოების ჯანმრთელობის დაცვის მუდმივ კომისიებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების შესრულებაში;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სანიტარულ-ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარებას, ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლას, დასახლებული ადგილებისა და ობიექტების სრულ სანიტარულ წესრიგში მოყვანას;

გ) სისტემატურად განიხილონ ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობა და უზრუნველყონ კაპიტალური მშენებლობის გეგმების შესრულება;

2. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ:

ა) გააუმჯობესოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მუშაობა ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის დარგში, უზრუნველყოს ავადმყოფთა ადრეული გამოვლინება, ჰოსპიტალიზაცია, მკურნალობა, დეზინფექციური დამუშავება, კონტაქტირებულთა გამოკვლევა და მეთვალყურეობა; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს პროფილაქტიკური აცრის საქმის გაუმჯობესებას; ფართოდ გამოიყენოს ინფექციურ დაავადებათა ნაადრევი დიაგნოსტიკისათვის მოწოდებული ლაბორატორული გამოკვლევის თანამედროვე მეთოდები; აღმოფხვრას დედათა და ბავშვთა სამედიცინო მომსახურების საქმეში არსებული ნაკლოვანებანი;

ბ) უზრუნველყოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა და დაწესებულებების კომპლექსური და კოორდინირებული მუშაობა ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის დარგში;

გ) გააუმჯობესოს მოსახლეობაში მასობრივი სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობა, რისთვისაც ფართოდ გამოიყენოს ბეჭდვითი სიტყვა, პრესა, რადიო, ტელეხედვა და ლექცია-საუბრები;

დ) ფართოდ დაინერგოს მოწინავე სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა გამოცდილების გაზიარება მოსახლეობის მაღალკვალიფიციურ სამედიცინო მომსახურების საქმეში;

ე) უზრუნველყოს რესპუბლიკის მთელი სამედიცინო ქსელის აქტიური ჩაბმა ტუბერკულოზთან ბრძოლის ღონისძიებათა გატარების საქმეში;

განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ფთიზიატრთა ვაკანტური ადგილების დაკომპლექტებას;

ვ) შემდგომშიც ფართოდ გამოიყენოს რესპუბლიკის მაღალმთიან და სასაზღვრო რაიონების სამკურნალო დაწესებულებებში თბილისში და სხვა ქალაქებში მომუშავე ექიმების ხანგრძლივი პერიოდით მივლინება მოსახლეობისათვის კვალიფიციური სამედიცინო მომსახურების აღმოჩენის მიზნით.

უფრო ხშირად მიავლინოს ადგილებზე სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ინსტიტუტებიდან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, პროფესორები და სხვა მეცნიერი მუშაკები;

ზ) მკაცრი ზომები მიიღოს მედიცინის იმ მუშაკთა მიმართ, რომლებიც ჯერ კიდევ იჩენენ უსულგულო დამოკიდებულებას ავადმყოფთა სამედიცინო მომსახურების საქმისადმი, და უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან მათზე დაკისრებულ მოვალეობას;

თ) გადაჭრით გააუმჯობესოს ხელმძღვანელობა იმ მიმართულებით, რომ სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის მუშაობის შედეგები უფრო მეტად დაინერგოს სამედიცინო პრაქტიკაში;

ი) ყოველმხრივ ხელი შეუწყოს კოლმეურნეობების თაოსნობას საკუთარი სახსრებით სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მშენებლობაში;

კ) მიიღოს უფრო ქმედითი ზომები როგორც კაპიტალური მშენებლობის დამკვეთმა, სათანადო სახსრების უფრო რაციონალურად გამოყენებისათვის, არ დაუშვას სახსრების დაქუცმაცება და ახალი ობიექტების მშენებლობის დაგეგმვისას ზუსტად იხელმძღვანელოს მოქმედი ნორმებით მშენებლობის ხანგრძლივობის შესახებ;

ლ) გააუმჯობესოს მოსახლეობისა და სამედიცინო დაწესებულებების მედიკამენტებით მომარაგება, სრულყოს აფთიაქებში წამლების დამზადების ტექნოლოგია და აამაღლოს მისი ხარისხი; მოსახლეობის უკეთ მომსახურების მიზნით მოახდინოს აფთიაქებისა და სააფთიაქო მაღაზიების ქსელის რაციონალური დისლოკაცია;

მ) სახელმწიფო სანიტარული ინსპექციის ორგანოების მეშვეობით გააძლიეროს სანიტარული ზედამხედველობა დასახლებულ ადგილებში კვების ობიექტებზე სანიტარულ-ეპიდსაწინააღმდეგო წესებისა და ნორმების დარღვევათა აღკვეთის მიზნით.

4. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა:

ა) ამბულატორულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებათა ქსელის მიზანშეწონილი განლაგებისა და მათი მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილებთან უფრო მიახლოვების მიზნით ახალი საცხოვრებელი შენობების მშენებლობისას გაითვალისწინონ პოლიკლინიკებისა, ბავშვთა და ქალთა კონსულტაციების, რძის სამზარეულოების, აფთიაქების მოსაწყობი ფართობის გამოყოფა.

ბ) გადამჭრელი ზომები მიიღონ მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფისათვის, რათა აღკვეთილ იქნას სასმელი წყლის გაბინძურებით გამოწვეული ინფექციური დაავადებების აღმოცენება და გავრცელების შესაძლებლობა, პირველ რიგში იმ დასახლებულ ადგილებში, რომლებიც ეპიდემი-

ურად არაკეთილსაიმედოა (ქ. ქ. ტყვარჩელი, რუსთავი, თელავის, საგარეჯოს, ბოლნისის და სხვა რაიონები);

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ) ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება ქალაქების, დაბების, რაიონული ცენტრების და სოფლების კეთილმოწყობისა და სანიტარული წესრიგის დასამყარებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს 1961 წლის 24 მარტის № 163 დადგენილების შესაბამისად;

დ) უზრუნველყონ საკოლმეურნეო აბანოების მშენებლობის გეგმების შესრულება, უმოქმედო და არადანიშნულებისამებრ გამოყენებული საკოლმეურნეო აბანოების შეკეთება, კეთილმოწყობა და წესიერი ექსპლოატაცია;

მიიღონ ყოველგვარი ზომები წყალსადენების, კანალიზაციისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობათა მშენებლობის სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის;

ე) გადამჭრელი ზომები მიიღონ მედიცინის მუშაკთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, საცხოვრებელი ფართობით მათ უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით სოფლებში.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ:

ა) მაქსიმალურად უზრუნველყოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მოთხოვნილება მატერიალური და ტექნიკური მომარაგების ფონდებით;

ბ) უზრუნველყოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო სადეზინფექციო საშუალებებით, პირველ რიგში ქლორშემცველი პრეპარატებით, ქლოროფოსით, ქლორამინითა და ქლორიანი კირით.

6. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ:

ა) პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად გაატარონ ღონისძიებანი მუშათა შრომის პირობების გაუმჯობესების, უსაფრთხოების ტექნიკის დაცვის უზრუნველყოფის, ტრავმატიზმის მკვეთრად შემცირებისა და საამქროებში სანიტარული რეჟიმის დაცვის მიზნით.

სამრეწველო საწარმოების სამედიცინო-სანიტარულმა ნაწილებმა და ჯანმრთელობის დაცვის პუნქტებმა გააძლიერონ მომთხოვნელობა საწარმოთა ადმინისტრაციის მიმართ და უკანასკნელთა მიერ უსაფრთხოების ტექნიკისა და შრომის დაცვის პირობების დარღვევის ყოველი შემთხვევის შესახებ აცნობონ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სასწრაფო ქმედითი ზომების მისაღებად;

ბ) გალენური და ორგანული პრეპარატებით (წამლებით) რესპუბლიკის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გააფართოოს ადგილობრივი ნედლეულიდან ამ პრეპარატების წარმოება ფარმქიმქარხანაში, ხორცკომბინატსა და შესაბამისი პროფილის ქარხნებში.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტმა:

მოსახლეობის მკურნალობისა და დაავადებათა პროფილაქტიკის საქმის გაუმჯობესების, აგრეთვე მეცნიერების მიღწევების ფართოდ და ეფექტურად გამოყენების მიზნით სამედიცინო პროფილის სამეცნიერო-კვლევით ინს-

ტიტუტების მუშაობა უფრო მეტად დაუკავშირონ რესპუბლიკის სხვა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების (ქიმიის, ფიზიკის, კიბერნეტიკის და სხვ.) მუშაობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ:

სკოლის ასაკის ბავშვთა ფიზიკური განვითარებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სკოლის ოთახების განათებას, განიავებას, მერხების განაწილებას ბავშვების სიმაღლის მიხედვით და მოსწავლეთა ცხელი საუზმით უზრუნველყოფას.

9. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ და ცეკავშირმა:

ა) უზრუნველყონ სამკურნალო პროფილაქტიკური და ბავშვთა დაწესებულებები ნორმითა და რაციონით დაწესებული კვების პროდუქტებით, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ პროდუქტების ასორტიმენტის დაცვას, მკვეთრად გაადიდონ ჯანმრთელობის დაცვის სტაციონარული დაწესებულებების ნატურალური რძით, ბოსტნეულითა და ხილით მომარაგება;

ბ) უზრუნველყონ საბავშვო-სამკურნალო დაწესებულებათა მომარაგება რძის პროდუქტებითა და მშრალი ნარევებით, რომლებიც ხელს უწყობენ ბავშვების ჯანმრთელობას. ფართოდ გაშალონ ამ პროდუქტებით ვაჭრობა სასურსათო მაღაზიებში.

10. რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებმა სისტემატურად გააშუქონ ჯანმრთელობის დაცვის აქტუალური საკითხები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა და პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ სისტემატურად მოაწყონ ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე მაღალკვალიფიციურ მუშაკთა პოპულარული ლექცია — საუბრები რადიოთი და ტელევიზიით, საწარმოებსა და დაწესებულებებში.

* *
*

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია თვლის, რომ ადამიანის ჯანმრთელობაზე მუდმივი ზრუნვა წარმოადგენს საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას და გამოთქვამს რწმენას, რომ რესპუბლიკის მშრომელები მხურვალედ დაუჭერენ მხარს სესიის მიერ დასახულ ღონისძიებებს, რომლებიც გამომდინარეობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებიდან და მიმართული არიან მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისაკენ.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1962 წლის 22 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 280 საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო შემდეგი შემადგენლობით:

**საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე**

მაისურაძე ვლადიმერ ივანეს ძე

**საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები:**

ქაჯაია სერგი იასონის ძე
იოსავა გიორგი ყირიმის ძე
ცქიტიშვილი გიორგი კონსტანტინეს ძე

**საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრები:**

აბაშიძე ანდრია ვლადიმერის ძე
აბაზოვი ოთარ კოჩორის ძე
ადამიანი სურენ გელამის ძე
ბადაგაძე ნიკოლოზ ალექსის ძე
ბალათურია დავით ისიდორეს ძე
ბლიაძე გოდერძი ვლადიმერის ძე
ბუბაშვილი ტარასი სევერიანეს ძე
გაჯიევი ნასიბ ყურბანის ძე
გველესიანი ოთარ ალექსანდრეს ძე
გიორგაძე დავით ილიას ძე
გიგაური ანდრია იოსების ძე
გოგაშვილი იოსებ ვასილის ძე
გრძელიძე ვახტანგ თევდორეს ძე
დევდარიანი გრიგოლ გრიგოლის ძე
კოხრეიძე ლუბა მოსეს ასული
მახარაძე შალვა კირილეს ძე
მირიანაშვილი ნინო გრიგოლის ასული
მუშკუდიანი ვიქტორ ვასილის ძე
პაიჭაძე თამარ ვლადიმერის ასული
ჟორდანია ივანე შალვას ძე
სუმბათაშვილი ივანე სიმონის ძე
ფალავანდიშვილი აპოლონ ვლადიმერის ძე
ქუმსიაშვილი ანა იორამის ასული
ლულუნიშვილი ალექსანდრე არსენის ძე
ცაბოლოვა ელისაბედ პავლეს ასული
ცინცაძე ალექსანდრე მიხეილის ძე
ჭიპაშვილი ბაბო (ბარბალე) სერგის ასული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხონიაკინა ადელინა ივანეს ასული
ხუციშვილი ნორა გრიგოლის ასული
ჯაფარიძე ტოსია მიხეილის ასული
ჯიბლაძე ითარ ალექსანდრეს ძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სასამართლოს სახალხო მსაჯულები:

ქ. თბილისი

არველაძე შოთა მელიტონის ძე
ასათიანი არჩილ ივანეს ძე
ასტვაცატუროვი გარეგინ დარჩოს ძე
ანდრონიკაშვილი მიხეილ დავითის ძე
არშაკიანი სუზანა სერგოს ასული
აბაშიძე ლამარა ნოეს ასული
არაქელაშვილი ნინო ივანეს ასული
ასანიშვილი ავთანდილ ვლადიმერის ძე
არუთინოვა-ესიტაშვილი ევგენია სარქისის ასული
არზუმანოვი ლევ არკადის ძე
ბურკაძე ჯულიეტა ივანეს ასული
ბერიშვილი მიხეილ კონსტანტინეს ძე
ბენაშვილი ილია ნიკოლოზის ძე
ბასიაშვილი გაბრიელ მარქარის ძე
ბეკთაბეგოვი გიორგი ივანეს ძე
ბერიძე დავით დიანოზის ძე
ბოლოკია ლილი ვალერიანეს ასული
ბახტაძე რუსუდან დომენტის ასული
ბაქრაძე დარია სიმონის ასული
ბურჭულაძე თენგიზ ვლადიმერის ძე
ბახტაძე გივი ივანეს ძე
ბაზიაკი ვლადიმერ გრიგოლის ძე
ბიკაშვილი ლატავრა შალვას ასული
გოგოლაძე ბარონ ანდროს ძე
გამცემლიძე თენგიზ გრიგოლის ძე
გოგოლაძე გივი ანტონის ძე
გელაძე მედეა გიორგის ასული
გოგოლაშვილი ქეთევან აპოლონის ასული
გიორგობიანი ალექსი არჩილის ძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბათაშვილი ნინო ვასილის ასული
გეგუჩაძე ლილი აკაკის ასული
დაელიანიძე რევაზ სილოვანის ძე
დუნდუა ნინა სევერიანეს ასული
დანგიაშვილი ეთერ ნიკოლოზის ასული
დიდებაშვილი ალა ალექსანდრეს ასული
დავლიანიძე ვიტალი ალექსანდრეს ძე
დანდუროვი მაცაკ ნიკოლოზის ძე
ებრალიძე ნოდარ იროდიონის ძე
ელისაშვილი ნანა იოსების ასული
ვაშაკიძე ანზორ ვლადიმერის ძე
ვერულაშვილი გრიგოლ ნიკოლოზის ძე
ვაჭარაძე ვარლამ ილარიონის ძე
ვარძელაშვილი კონსტანტინე დიმიტრის ძე
ზანგალაძე ანზორ ალექსანდრეს ძე
ჟუკაკიშვილი ბელა ზაქარიას ასული
ზედელაშვილი გიორგი მოსეს ძე
ხამთარაშვილი ნინო ზაქარიას ასული
ზაზანაშვილი თამარ გარსევანის ასული
თხელიძე ბორის პავლეს ძე
თიგიშვილი ზაქარია ილარიონის ძე
თოთაძე შოთა ივანეს ძე
თვალაბეიშვილი პავლე ვარლამის ძე
თენეიშვილი დავით მირიანის ძე
ივანოვი ვლადიმერ ვასილის ძე
იშხნელი ევგენია მოსეს ასული
იაროვი დავით ალექსანდრეს ძე
იოსელიანი-მიქელაძე თამარ ალექსანდრეს ასული
კაკაბაძე გიორგი მარკოზის ძე
კაპანაძე დავით ირაკლის ძე
კორძაძე ეკატერინე პლატონის ასული
კირვალიძე ლამარა სერგოს ასული
კავთელაძე ნიკოლოზ ტრიფონის ძე
კერესელიძე ბაგრატ ალექსის ძე
კოლხიდაშვილი ზინა გიორგის ასული
კიპაროიძე გრიგოლ ილიას ძე
კობერიძე ნაირა ალექსანდრეს ასული
კარიბოვი დიმიტრი ვლადიმერის ძე
კუტალაძე ლუარსაბ რაფიელის ძე
კვაჭაძე ირაპოლის ესეს ძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კოზლოვი ვიქტორ მიხეილის ძე
ლაფაჩიძე ირაკლი გიორგის ძე
ლილუაშვილი გურამ სიმონის ძე
ლორთქიფანიძე ელენე ავქსენტის ასული
ლითანიშვილი ვასილ ნიკოლოზის ძე
ლიფღინოვი სერგო ალექსანდრეს ძე
მარგალიტაძე ტარასი ონისიმეს ძე
მოდებაძე სპირიდონ პლატონის ძე
მიქელაძე ვარვარა იოსების ასული
მარლანია ნინა მელიტონის ასული
მეტრეველი ბაბილინა ბესარიონის ასული
მანჯავიძე რუსუდან პავლეს ასული
მშვენიერაძე მაყვალა კალენიკეს ასული
მჟავანაძე კურანდა ელიას ასული
მჟავანაძე ნელი დავითის ასული
მერაბიშვილი სერგო გიორგის ძე
მითაიშვილი მიხეილ ალექსანდრეს ძე
მენაბდე ალექსანდრე მათეს ძე
მშვიდობაძე გრიგოლ შევარდნის ძე
მჭედლიშვილი მაყვალა გიორგის ასული
ნატროშვილი იოსებ ისაკის ძე
ნაკაიძე თამარ ლავრენტის ასული
ნადარეიშვილი ვენერა ევგენის ასული
ოქროშიძე ირაკლი ივანეს ძე
ომიაძე ოთარ ალექსანდრეს ძე
ოქროცოვიძე ვასილ ივანეს ძე
ოდიკაძე კონსტანტინე ალფეზის ძე
პატარაია ირაკლი კაპიტონის ძე
რეპკა ალექსანდრე ვასილის ძე
როყვა ნათელა ნიკოლოზის ასული
რთველაძე ქეთევან იპოლიტეს ასული
რუხაძე გიორგი დავითის ძე
სუხიშვილი ივანე სიმონის ძე
სულაქველიძე ლეილა სამსონის ასული
სირაძე ანზორ სამსონის ძე
სახვაძე ნიკოლოზ გიორგის ძე
სამხარაძე ვასილ გულასპის ძე
სარალიძე ნინო ვასილის ასული
სულაძე იური ანტონის ძე
საყვარელიძე სერგო სიმონის ძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ფილიაშვილი** ლევან ვასილის ძე
**ფირანიშვილი** ვახტანგ აბელის ძე
**ფანიაშვილი** ალექსანდრე ტარიელის ძე
**ფიცხელაური** დავით ალექსანდრეს ძე
**ფეიქრიშვილი** ვახტანგ ივანეს ძე
**ქსოვრელი** გრიგოლ იაგორის ძე
**ქავთარაძე** სირან გიორგის ასული
**ქალიაშვილი** ლიანა შალვას ასული
**ქორიძე** გიორგი ალექსანდრეს ძე
**ღონღაძე** ნიკოლოზ არჩილის ძე
**ღლონტი** ელისაბედ ანტონის ასული
**ყავლაშვილი** ჯიბო მინას ძე
**ყურაშვილი** მარიამ კონსტანტინეს ასული
**ყუფარაძე** ნანული პროკოფის ასული
**შენგელია** ნოდარ ირაკლის ძე
**შავგულიძე** ნინო გრიგოლის ასული
**ჩადუნელი** რიმა ნიკოლოზის ასული
**ჩიგოგიძე** პალიკო კონსტანტინეს ძე
**ჩიქოვანი** აკაკი ირაკლის ძე
**ჩხაიძე** კალისტრატე ექვთიმეს ძე
**ჩხიკვაძე** ეთერ ნიკოლოზის ასული
**ჩერვიაკოვი** ნიკოლოზ პეტრეს ძე
**ცერცვაძე** გიორგი კირილეს ძე
**ცხადაძე** ვახტანგ ალექსანდრეს ძე
**ცხადაძე** ვალენტინა იოსების ასული
**წივწივაძე** ალექსანდრე ივანეს ძე
**წერეთელი** ნელი ვლადიმერის ასული
**ჭოხონელიძე** თამარ დავითის ასული
**ჭელიძე** სიმონ ტრიფონის ძე
**ხუნდაძე** მურმან ვალერიანეს ძე
**ხაინდრავა** მარო ბაგრატის ასული
**ხვიტია** აბელ ბათვას ძე
**ხამხაძე** ნინო ივანეს ასული
**ხუნდაძე** ალექსანდრე სიმონის ძე
**ჯანჯღავა** რევაზ ვლადიმერის ძე
**ჯოჯუა** ოთარ გიორგის ძე
**ჯაყელი** ილია ალექსანდრეს ძე
**ჯაფარიძე** რუსუდან ვიქტორის ასული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ქ. ბათუმი

ბაძლარაძე დიმიტრი მიხეილის ძე
დიასამიძე ქამელ ოსმანის ძე
ძნელაძე ალექსანდრე ისმაილის ძე
ქოიავა ტატიანა მალაქიას ასული

## ქ. სოხუმი

აშუბა ბელა შუქრის ასული
კურასკუა ვალერი ბორისის ძე
ფანცულაია ზინაიდა ილარიონის ასული

## ქ. ცხინვალი

ბიტაროვი ნინო ალექსანდრეს ასული
ივანიძე ნინო ვასილის ასული
მაღრაძე ვლადიმერ პავლეს ძე
შავლოხოვი ხანზერიფა ვასილის ასული
ძაგოევი ინესა ქრისტეფორეს ასული

## ქ. ქუთაისი

გვაზავა ლუბა ბათლომეს ასული
ინანეიშვილი ნოდარ დავითის ძე
იჩქითიძე ტრიფონ პართენის ძე
კენჭოშვილი ვალერიან ვასილის ძე
კვიმსაძე ვარლამ ლავრენტის ძე
კოხოძე დავით ვარდენის ძე
მელქაძე გივი კონსტანტინეს ძე
მიხელიძე პაშა ილიას ძე
მუშკუდიანი დიზი სარდიონის ასული
ნიჟარაძე ეფრემ გუას ძე
ჟორჟოლიანი მიხეილ პლატონის ძე
სინაურიძე ლევან თადეოზის ძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტაბუციძე აკაკი ნიკოლოზის ძე
ფერაძე სოკრატ ლეონტის ძე
ცაგარეიშვილი ბიძინა კონსტანტინეს ძე
ჭიჭინაძე ოთარ შალვას ძე
ჯიმშელეიშვილი ისაკ თეოფილეს ძე

### ქ. გორი

დევდარიანი გულნარა კონსტანტინეს ასული
კობერიძე ირაკლი პავლეს ძე
რთველიაშვილი ანტონ ივანეს ძე
ყანჩაველი მარო გიორგის ასული
ჯამბრიშვილი ამირან ვლადიმერის ძე

### ქ. რუსთავი

ბილიხოძე ნოდარ სოლომონის ძე
გაბეჩავა ნუნუ ალექსანდრეს ასული
დემეტრაშვილი არჩილ ნიკოლოზის ძე
ზოდელავა ალექსი გერმანეს ძე
კუხალეიშვილი ჟორა მარკოზის ძე
კაპანაძე კლარა სილიბისტროს ასული
ლომიძე ვარდენ ივანეს ძე
მაღრაძე რომან იაკინთეს ძე
ნიკოლეიშვილი ნოდარ ლეონტის ძე
ჟველია სულიკო კონსტანტინეს ასული
ტიშკოვი ივანე დიმიტრის ძე
ფერაძე ლამარა პეტრეს ასული
შავიძე ნატა გიორგის ასული
შჩებეროვა მარია სოფრომის ასული
ხარაზიშვილი გულიზარ ვლადიმერის ასული
ხვოროსტიანოვი ანატოლ ევგენის ძე

### ქ. ფოთი

გაბუნია ანა ალექსის ასული
გახოკია ლუბა არტემის ასული
გერსამია თინა პლატონის ასული
როსლიაკოვი ვლადიმერ გიორგის ძე
ჩხარტიშვილი ეთერი ალექსანდრეს ასული
ხავთასი თინა მიხეილის ასული

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქ. ჭიათურა

იობაშვილი აკაკი ვასილის ძე
ფურცხვანიძე ლევან კალისტრატეს ძე
შუკაკიძე ალექსანდრე ივანეს ძე
ჭიჭინაძე ცაცა ვარლამის ასული

## აბაშის რაიონი

გვაზავა ნიკოლოზ ნოეს ძე
მელაძე მელიტონ უშანგის ძე
ჩოჩია ბორის რემანოზის ძე
ძველაია ევგენი ალექსის ძე

## ამბროლაურის რაიონი

გელოვანი აველი სიმონის ძე
გიორგობიანი ქეთევან ივანეს ასული
გოცირიძე ონისიმე სამსონის ძე

## ახმეტის რაიონი

ებელაშვილი ცეზარი გიორგის ძე
მოსიაშვილი შოთა ალექსის ძე
უშიკიშვილი ზაქარია იოსების ძე

## ახალციხის რაიონი

გამყრელიძე ანდრო გიორგის ძე
გაზაზიანი მარია გრიგოლის ასული
კაპანაძე ბიჭიკო ექვთიმეს ძე

## ახალქალაქის რაიონი

არუსტამიანი შოგიკ კამისარის ასული
დურგარიანი ამაიაკ ოგანეზის ძე
ვართანოვი ამბარცუმ მიხეილის ძე
ნურჯანიანი აგვან გრიგოლის ძე

## ბოლნისის რაიონი

გუსეინოვი ნაბი ისმაილ ოღლი
კუხალეიშვილი გერმან მიხეილის ძე

ყურბანოვი მეხრალი მამედის ძე
ცქვიტინიძე ფელსი ფარნას ასული

## გორჯომის რაიონი

აბრამიშვილი ნინო იოსების ასული
ანდღულაძე ალექსანდრე სამუელის ძე
გიუაშვილი ვლადიმერ სერგოს ძე
სულაქველიძე სერგო არტემის ძე

## გეგეჭკორის რაიონი

რურუა შოთა ვლადიმერის ძე
სულავა მამია გურასიმეს ძე
ქავუარაძე დარეჯან ანდრიას ასული
წირდვავა გრიგოლ ალექსანდრეს ძე

## გორის რაიონი

მაისურაძე იოსებ სიმონის ძე
ურიგაშვილი რიმა ალექსანდრეს ასული
ხუროშვილი ალექსანდრე სიმონის ძე
ჯიმშელეიშვილი სილოვან ფარნაოზის ძე

## გურჯაანის რაიონი

ანჯაფარიძე სამსონ ნიკოლოზის ძე
ქოროღლიშვილი ქოროღლი ნიკოლოზის ძე
მამუკაშვილი მარო ხარიტონის ასული
ბერულაშვილი მერი სავლეს ასული
კობიაშვილი ივანე იასონის ძე
მაზანაშვილი ქეთევან გრიგოლის ასული

## ვანის რაიონი

გიორგაძე ალექსანდრა ივლიანეს ასული
დიასამიძე ამბერკი ილარიონის ძე
საკანდელიძე ბაბილინა გალაქტიონის ასული
ხუნდაძე ასლან გიორგის ძე

## დუშეთის რაიონი

ნამგალაური გულქან დავითის ასული
ხუროძე სერგო კონსტანტინეს ძე
თინიკაშვილი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დმანისის რაიონი

ალიევი გუსეინგულუ გადირის ძე
ანტიფეევი მიხეილ პეტრეს ძე
ნონიაშვილი გიორგი ბაგრატის ძე

## ზესტაფონის რაიონი

კვანტრიშვილი გიორგი არქიფოს ძე
კობახიძე ლევან ვასილის ძე
ჩხიკვაძე გივი მიხეილის ძე
ქელიძე თამარ მელიტონის ასული

## ზუგდიდის რაიონი

შანია ვლადიმერ სპირიდონის ძე
რაფავა რადიონ ბაგრატის ძე
ყვანია ოლია გუჯუს ასული
ყურუა სერგო კლიმენტის ძე
ყუფუნია თამარ კონსტანტინეს ასული
ჩაგინავა ისაკი ალექსის ძე
ჩანგელია შაქრო ბესარიონის ძე
ჯიქია შალვა პორფილეს ძე
ჯოჯუა ლიდა კონსტანტინეს ასული

## თელავის რაიონი

ბენიძე მარიამ ილიას ასული
კოზმანაშვილი მიხეილ იოსების ძე
კირვალიძე მარიამ თომას ასული
სვანიძე ზურაბ დავითის ძე
ჩოხელი დიმიტრი მიხეილის ძე

## თერჯოლის რაიონი

არეშიძე ზურაბ მიხეილის ძე
ნასარიძე ივანე იაკობის ძე
ჭუმბურიძე ნიურა კარპეს ასული

## თიანეთის რაიონი

ბაიაშვილი ნინო აგაჯანის ასული
ებანოიძე გიორგი პეტრეს ძე

თურქიაშვილი მართა ივანეს ასული
ხახაშვილი გიორგი არსენის ძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

### თეთრი წყაროს რაიონი

ბექაური ალექსი დიმიტრის ძე
მელიქიანი სურენ ნიკოლოზის ძე
ნეკერაშვილი აკაკი დავითის ძე
ჭელიძე გრიგოლ ზურაბის ძე

### კასპის რაიონი

ბუნტური გიორგი ვლადიმერის ძე
მარიდაშვილი სოფიო ანდროს ასული
ღვინიაშვილი ნათელა გიორგის ასული

### ლაგოდეხის რაიონი

გელაშვილი სიმონ იოსების ძე
ივანოვი დანიელ ნიკოლოზის ძე
კიკილაშვილი მაკრო ზაქარიას ასული
მამისაშვილი ალექსანდრე ვლადიმერის ძე

### ლანჩხუთის რაიონი

ბოლქვაძე თინა ვალერიანის ასული
ფირცხალაიშვილი სერაფიონ არსენის ძე
ჩხაიძე ჩიტო აკაკის ასული

### ლენტეხის რაიონი

გაბიანი რაფიელ ნესტორის ძე
მუკბანიანი გელა ევაკის ძე
უშხვანი ოლია სოგრატის ასული

### მახარაძის რაიონი

თავლიშვილი ვლადიმერ სერგოს ძე
კალანდაძე თამარ ერმილეს ასული
სიმვულიდი თამარ ვარდენის ასული
ღლონტი აკაკი ვლადიმერის ძე
შავიშვილი შალვა ნიკოლოზის ძე
ჯინჭარაძე ვლადიმერ ისაკის ძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

### მცხეთის რაიონი

ებრალიძე დურმიშხან ზაქარიას ძე
თელია ზურაბ მიხეილის ძე
ხუტაშვილი გრიგოლ ალექსანდრეს ძე
ხუხუნაიშვილი ლიანა მიხეილის ასული

### მესტიის რაიონი

გულედანი ეფრემ არსენის ძე
კახიანი ევგენი ბესარიონის ძე
კვიციანი ნინო რამინის ასული

### მაიაკოვსკის რაიონი

ბეგეშიძე ჯუანშერ ვლადიმერის ძე
გიორგაძე ქექელა გიორგის ასული
ნებიერიძე ივანე ტერენტის ძე

### მარნეულის რაიონი

გიქოშვილი ივანე სერგოს ძე
